



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N04

ქ. მარნეული

17.03.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ვანო ბურნაძე, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა:

ბესიკ გელენიძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, თორნიკე გოგლიძე, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ლაშა ლობჯანიძე**. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა**. ამავე განყოფილების სპეციალისტები: **თამუნა ჩაჩანიძე**, **ცოტნე ბოჭოიძე**, **ხოშგადამ ნოვრუზალოვა**. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის და კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე**. ამავე განყოფილების სპეციალისტები: **გელა შუბითიძე**, **ეთერი ამვროსოვა**, **ქეთევან ხვედელიძე**. მარნეულის მუნიციპალიტეტის საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტები: **ნათია გაფრინდაშვილი**, **ნატო დოკვაძე**, **ბელა თედორაძე**, **ხათუნა სამხარაძე**, **როენა ახოზაძე**, **თეონა ფარჯიანი**, **რამაზი კარახმაზლი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **თემურ შუბითიძე**. თანაშემწეები: **ელშან ჰასანოვი**, **შერმადინ ბოჭოიძე**. სპეციალისტები: **გიორგი ასანიძე**, **აგილ ამირჯანოვი**, **თამაზ ბოჭოიძე**, **გაბილ ხალილოვი**, **მარიამ ირიაული**,

გიორგი ჩაჩანიძე, ოთარ შუბითიძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტაჟიორები: მარიამ გოგრიჭიანი და მედეა გიორგაძე. მოქალაქეები: ირაკლი ჩხიტუნძიძე, თეიმურაზ გოგრიჭიანი, გიორგი შუბითიძე, დავით ქიმაძე, არმაზი მუმლაძე.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის სალომე ხარშილადის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბ. ბახტურიძის, მ. ჭინჭარაულის და ნ. ბოჭოიძის ერთობლივი განცხადების განხილვის შესახებ.
8. „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 სექტემბრის N37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
10. სოციალური საკითხები.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
13. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება - მეგობრობა“-ს, ფრაქცია „ქართული ოცნება - მარნეული“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს განცხადებები ფრაქციების დაფუძნების და ფრაქცია „ქართული ოცნება - მეგობრობა“-ს თავმჯდომარედ ომარ ირიშოვის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არსენ ახვერდიანის, ფრაქცია „ქართული ოცნება - მარნეული“-ს თავმჯდომარედ ლევონ აკოპიანის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ჯეიხუნ ჩოიდაროვის, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარედ რაფიკ ჯაფაროვის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ აზატ კარიმოვის არჩევის შესახებ, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულებები: N07, 08 და 09. 17.03.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 16 მარტის N32-3221075179 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N56 განკარგულების პირველი პუნქტის დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N10. 17.03.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 11 მარტის N32-3221070288 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N17. 17.03.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N11. 17.03.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 12 მარტის N32-3221071104 წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ და ითხოვა ამ პროექტის საკრებულოსთან შეთანხმება

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N12. 17.03.2021 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები სალომე ხარშილადის განცხადებით (რეგ. N19/33210681-33 09.03.2021 წ) წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემა, 1250 ლარის ოდენობით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის სალომე ხარშილადისათვის, რომელმაც მიმდინარე წლის 01-04 მარტს ქალაქ ბათუმში საქართველოს თასის გათამაშებაზე მშვილდოსნობაში დაიკავა პირველი ადგილი, როგორც აბსოლიტურ ასევე ინდივიდუალურ ჩათვლაში და გახდა საქართველოს მშვილდოსნობის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. სალომე არის ეკომიგრანტი, მრავალშვილიანი ოჯახიდან.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N13. 17.03.2021 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბ. ბახტურიძის, მ. ჭინჭარაულის და ნ. ბოჭოიძის ერთობლივი განცხადება (რეგ. N19/33210555-33. 24.02.2021 წ) და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ეთერ ბახტურიძის, ანა ჯღამაძის და ნანიკო ბოჭოიძისათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემა, თითოეულზე - 1000 ლარის ოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს ქუთაისის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, ერთერთმა მათგანმა მედალზე და დაჯილდოვდა პრეზიდენტის მიერ. სამივე მათგანმა უმაღლეს სასწავლებელში მოიპოვა 70%-იანი სახელმწიფო გრანტი და ითვლებიან საუკეთესო სტუდენტებად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N14. 17.03.2021 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გუჯეჯიანი არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 09 მარტის N32-3221068312 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად ითხოვა მხარდაჭერა, რათა შევიდეს ცვლილება, „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 სექტემბრის №37 განკარგულების დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N15. 17.03.2021 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსმა ია ესებუამ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N16. 17.03.2021 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გუჯეჯიანი არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N17. 17.03.2021 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N18. 17.03.2021 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N18. 17.03.2021 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე